

ჰაიდელბერგცემენტ ჯგუფი მსოფლიოს მასშტაბით სამშენებლო მასალების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია, რომელსაც მოწინავე პოზიცია უკავია ინერტული მასალების, ცემენტის და ბეტონის წარმოების საერთაშორისო ბაზარზე. კომპანიის კუთვნილ 3000 საწარმოში, რომლებიც მსოფლიოს 50 ქვეყანაშია განთავსებული, 53000 თანამშრომელია დასაქმებული.

2006 წლის ბოლოს ჰაიდელბერგცემენტმა განახორციელა პირველი ინვესტიცია კავკასიის რეგიონში, შეიძინა რა აქციები საქართველოში ცემენტის წარმოების წამყვან კომპანიებში (შპს "საქცემენტის" რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები, შპს "ქართული ცემენტი"). ჰაიდელბერგცემენტ საქართველო ჰაიდელბერგცემენტის საერთაშორისო ჯგუფის შვილობილი კომპანიაა, რომელიც ამჟამად ახორციელებს ცემენტისა და ბეტონის წარმოებას. იგი ფლობს 2 ცემენტის, 3 აგრეგატის, 14 ბეტონის მწარმოებელ ქარხანასა და 2 ტერმინალს ქვეყნის ტერიტორიაზე. კომპანიას უკავია წამყვანი პოზიციები ადგილობრივ ბაზარზე ცემენტისა და ბეტონის წარმოების დარგში.

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია იწვევს მოტივირებულ ტექნიკური მიმართულების კურსდამთავრებულებს ან/და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების 12-თვიან პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

ხართ? გასურთ გამოიყენოთ თქვენი ცოდნა პრაქტიკულად, რაც შეიძლება სწრაფად გახდეთ კომპეტენტური გუნდის წევრი, მიიღოთ სამუშაო გამოცდილება? მაშინ შემოგვიერთდით, შეიტანეთ თქვენი წვლილი ჩვენი ორგანიზაციის წარმატებაში და განვითარდით ჩვენთან ერთად!

პროგრამის შინაარსი:

- პროგრამა განხორციელდება ტექნიკურ სფეროში: ცემენტის წარმოება;
- შესაბამისი სფეროების დეტალური შესწავლა და ყოველდღიურ საქმიანობაში მონაწილეობა;
- დამატებითი ტრენინგი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში;
- პროექტებზე მუშაობა;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- უმაღლესი განათლება (სამშენებლო ან ქიმიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი ან კურსდამთავრებული);
- სასურველია მაღალი აკადემიური მოსწრება;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა;
- შედეგზე ორიენტირება და პრაგმატულობა;
- ეკონომიკური, სამეწარმეო აზროვნება;
- ინიციატივის გამოვლენის უნარი;
- მზადყოფნა ახლის შესწავლისათვის;
- სტრესის მართვის უნარი;
- კარგი კომუნიკაციის უნარი;

სამუშაო ადგილმდებარეობა:

- რუსთავი ცემენტის ქარხანა;
- კასპის ცემენტის ქარხანა;

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი რეზიუმე ელ.მისამართზე: vacancy@heidelbergcement.ge (ასევე, შეგიძლიათ შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ თანდართული სააპლიკაციო ფორმა) **გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ - ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების პროგრამა**

დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა **26 სექტემბერი, 2021.**

გისურვებთ წარმატებას!

შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"- ში თქვენს მიერ გამოგზავნილი რეზიუმე შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. თქვენი პერსონალური მონაცემები შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"-ს მხრიდან დამუშავდება "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ვაკანსიასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. თქვენს მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემების დამუშავების ვადა განისაზღვრება

კომპანიის ბიზნეს საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კომპანიის შიდა რეგულაციების შესაბამისად.